

2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს "ევრო ქონსტრაქშენ" (ს/კ 405111089)

შინაარსი :

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- საქმიანობის შედეგები
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. სავაჭრო ვალდებულებები
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
12. გადასახადები
13. გამოუმუშავებელი შემოსავალი
14. ფინანსური ვალდებულებები
15. სხვა ვალდებულებები
16. კაპიტალი
17. ამონაგების აღიარება
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
19. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან და სხვა არასაოპერაციო ხარჯი
20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

<u>ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
-	<u>საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი</u>	<u>წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი</u>
<u>აქტივები</u>	-	-
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები</u>	<u>942</u>	<u>81,079</u>
<u>სავაჭრო მოთხოვნები</u>	<u>177,377</u>	<u>959,396</u>
<u>გადახდილი ავანსები (მ.შ ავანსად გადახდილი გადასახადები) და სესხები</u>	<u>2,149,503</u>	<u>1,353,635</u>
<u>სხვა აქტივები</u>	-	<u>63,289</u>
<u>მარაგები</u>	<u>14,745</u>	<u>16,502</u>
<u>ძირითადი საშუალებები</u>	<u>205,327</u>	<u>230,729</u>
<u>ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში</u>	<u>5,547,647</u>	<u>5,120,627</u>
<u>სულ აქტივები</u>	<u>8 095 541</u>	<u>7,825,257</u>
-	-	-
<u>ვალდებულებები</u>	-	-
<u>სავაჭრო ვალდებულებები</u>	<u>248,974</u>	<u>234,848</u>
<u>საგადასახადო ვალდებულებები</u>	<u>60,778</u>	-
<u>მიმდინარე სასესხო ვალდებულებები</u>	<u>763,222</u>	<u>286,508</u>
<u>სხვა ვალდებულებები</u>	<u>3096</u>	-
<u>სულ ვალდებულებები</u>	<u>1,076 070</u>	<u>521,356</u>
<u>გამოსყიდული საკუთარი აქციები</u>	-	-
<u>გაუნაწილებელი მოგება / ზარალი</u>	<u>701,9471</u>	<u>7,303,901</u>
<u>გადაფასების რეზერვი</u>	-	-
<u>სხვა რეზერვები</u>	-	-
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	<u>701,9471</u>	<u>7,303,901</u>
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>	<u>8095541</u>	<u>7,825,257</u>

<u>ფორმა N2- საქმიანობის შედეგები</u>	<u>2,024</u>	<u>2,023</u>
-	<u>საანგარიშგებო პერიოდი</u>	<u>წინა საანგარიშგებო პერიოდი</u>
<u>ნეტო ამონაგები</u>	<u>4,931,334</u>	<u>7,508,931</u>
<u>მომსახურების გაწევიდან</u>	<u>4,653,660</u>	<u>7508931</u>
<u>სხვა შემოსავალი</u>	<u>277674</u>	<u>0</u>
<u>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</u>	<u>(4,486,346)</u>	<u>(6,403,987)</u>
<u>საერთო მოგება</u>	<u>444,988</u>	<u>1,104,944</u>
-	-	-
<u>საპროცენტო შემოსავალი</u>	<u>125,892</u>	<u>14,136</u>
<u>სხვა არასაოპერაციო შემოსავალი</u>	<u>752560</u>	<u>1,483,640</u>
<u>სულ მოგება</u>	<u>1 323 440</u>	<u>2,602,720</u>
<u>დასაქმებულთა ანაზღაურება</u>	<u>(124058)</u>	<u>(60,535)</u>
<u>ცვეთა და ამორტიზაცია</u>	<u>(27,234)</u>	<u>(31,279)</u>
<u>საკონსულტაციო ხარჯი</u>	-	<u>(18,085)</u>
<u>ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი</u>	<u>(95470)</u>	<u>(38,575)</u>
<u>ქონების გადასახადი</u>	<u>(2180)</u>	<u>(1,480)</u>
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	<u>(248942)</u>	<u>(149,954)</u>
<u>საოპერაციო მოგება</u>	<u>1 074 498</u>	<u>2,452,766</u>
<u>სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი</u>	<u>19489</u>	<u>(10,814)</u>
<u>საპროცენტო ხარჯი</u>	<u>(36,648)</u>	-
<u>წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:</u>	<u>18655</u>	<u>(41,121)</u>
<u>მიღებული დივიდენდები</u>	<u>429837</u>	-
<u>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრობითი ოპერაციებიდან</u>	<u>1 505 831</u>	<u>2,400,831</u>
<u>დივიდენდების განაწილება</u>	<u>(1790261)</u>	
<u>სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში</u>		<u>(202,978)</u>
<u>პერიოდის მოგება/ზარალი დივიდენდის განაწილების და გაუნაწილებელ მოგებაში სხვა ცვლილებების შემდეგ</u>	<u>(284 430)</u>	<u>2197853</u>

<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის</u>	<u>7303901</u>	<u>5,106,048</u>
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>	<u>7 019 471</u>	<u>7,303,901</u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრო ქონსტრაქშენ“/ს/კ405111089/ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2015 წლის 29 ივლისს საქართველოში ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე იბერის ქ. 1 შესახ.3 ბ#43

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს **სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა**.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს ერთი დამფუძნებელი 100%-ის მფლობელი იურიდიული პირი: **შპს თრასტ კაპიტალ 2024 (ს/კ 405696000)**

1.1. კომპანიის საქმიანობის გარემო

კომპანიის ძირითად საქმიანობა (სამშენებლო-სარემონტო მომსახურების გაწევა დამკვეთისთვის) ხორციელდება საქართველოში განვითარებად ეკონომიკები, როგორცაა საქართველო სწრაფ ცვალებადობითხასიათდება და მოწვევლდა გლობალური ბაზრის მდგომარეობის და ეკონომიკური ვარდების მიმართ შედეგად საქართველოში ბიზნეს- საქმიანობა უზავშირდება გარეგეულურისკებს, რომლებიც როგორც წესი, არასოცირდება განვითარებულზე ზრბთან. პიროქით არის ერთერთ შემაფერებელ ფქტორი ბიზნესის წინსვლსა და განვითარების გზაზე. მიუხედავადმისა, ბოლო რმდენიმე წლის განმავლბაში საქართველოს მთავრბამ განახორციელ არერთ სამოქალქო კრმინალური, საგადასახადო აღმინისტრციულ და ეკონომიკური რეფრმა , რმელმაც დღბით გავლნა იქნია ქვეყნის საინვესტიციოკლმატზე. ამ რეფრმების შედეგაა ის, რომ საქართველოში არის კორუფციის დბალო დნე. ასევე, აღსანიშნავია ქვეყანაში არსებული დბალო გადასახადბი და სრული გამჭვირვალბა მათო აღრიცხვის და აღმინისტრირების კუთხით აღნიშვნის საგანია ის ფქტო, რომ საქართველომსოფლიო ბანკის (WB) და საერთო შორისოსაფნანსოკორზრაციის (IFC) ანგარიშების მიხედვით კვლვაც გამოორევა ბიზნესის კეთების სიმარტვით საქართველოს მთავრბის ეკონომიკური პოლოტკაა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარბა. პირვლო პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარბაზე ორიენტრებული სწრაფი და ეფექტანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრს, სამუშაოაღილების შექმნასა და სიღრბის დძლვას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლოტკის გატრბა, რც გვლსხმბს მბახლბობის საყოფელლო ჩარულბას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დასპორის, მიგრნტების, ეთნიკური უმცირესბების და სხვა კგულების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგადსა ზოგადებობის თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათსოციალურთანასწორობასა და მბახლბობის ცხობრბის პირობების გაუჩბესებას. მესამე ძირითადპრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრხობისა და მდგრდბის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატკლოშების რსკების თავიდნ აცილბა წარმოადგენს. საქართველოს მთავრბა აღიარბს დემოკრტიულ განვითარების, ადმინის უფლბათა და ძირითადთავისუფლბათა პატვისცემის, კანონის უზენაესობისა და ეფექტანი მმარბელობის პრინციპებს, რმელმაც ეფუძნება მისი პოლოტკა. ევროკავშირში ინტეგრცია საქართველოს საგარეოდ საშინაოპოლოტკის ქვაკუთხედაა. საქართველოს მთავრბა მოწოდბულა განუხრლდდ იცვას ქვეყნის დემოკრტიული განვითარების კუწი და უზრუნველეს საერთოევრობული ფსეულბების მტვიცე მხარდჭერბ, რც ევროკავშირთან დახლბობის საფუძველო გახდბა. შესაბამისად უდდესი მნიშვნელბა ენიჭბა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ეფექტან

განხორციელებას (რომლის განუყოფელ ნაწილს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს), რაც ევროგაერთიანებულ პოლიტიკურ ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია. განვითარების ამ ეტაპზე და არსებული რეალობის გათვალისწინებით საქართველოს საქართველოს მთავრობის მიზანი იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას. ამავდროულად სახელმწიფო იქნება ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტი. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კროზის უზრუნველყოფაში კი ხელს შეუწყობს ბაზრულ მოთხოვნის სტიმულირებას.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა"-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში წარდგენილი აქვს ფინანსური ანგარიშგება დადგენილი ვადის შესაბამისად.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	942	81 079
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		-
სულ	942	81 079

4. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები.

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	177377	959 396
სულ	177377	959 396

5. გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები

გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს, ასევე კომპანიიდან ფულადი სახსრების სახით გაცემულ სესხებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
გადახდილი ავანსები და სესხები	<u>2,149,503</u>	1353635
სულ	2,149,503	1 353 635

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო-სარემონტო პროდუქციას, (სახარჯი მასალა).

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით. ჩამოწერის საფუძვლად მიჩნეულია ყოველი თვის ბოლოს შედგენილი მასალების ჩამოწერის აქტი, რომელიც დასტურდება უფლებამოსილი პირის /პირების მხრიდან.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
ნედლეული და მასალები	14745	16 502
დაუმთავრებელი წარმოება		-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	14745	16 502

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს საბაჟოზე და საგადასახადო ორგანოში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
საბაჟო გადასახადი	-	-
საგადასახადო აქტივი		63 289
სულ		63 289

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია.

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- საშენებლო ინვენტარი და დანადგარები 3-5- 7 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5 წელი
- სანტრანსპორტო საშუალებები 10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ევრო ქონსტრაქშენის“ ბალანსზე ნარჩენი ღირებულების სახით ირიცხება 230 729 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები.

ინვესტიციის განხორციელება სხვა საწარმოში:

შპს „შპს T- ენერგიაში“ განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს- 5 120 627 ლარს

აღნიშნული კომპანია არის შპს ევრო ქონსტრაქშენის შვილობილი საწარმო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ევრო ქონსტრაქშენის“ ბალანსზე ნარჩენი ღირებულების სახით ირიცხება 205 327 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები.

ინვესტიციის განხორციელება სხვა საწარმოში:

შპს „შპს T- ენერგიაში“ განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს- 5,547,647 ლარს

აღნიშნული კომპანია არის შპს ევრო ქონსტრაქშენის შვილობილი საწარმო.

10. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

12. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლეელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.

13. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი მოიცავს კომპანიის ძირითადი კლიენტებისგან წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა აღიარებაც დარიცხვის მეთოდის საფუძველზე მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში (2024წ.)

14. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

2024 წელს კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შეძენის მიზნით მიღებული სესხის ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 763 222 ლარს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
მოკლევადიანი სესხის ვალდებულების ნაშთი-31/12 მდგ	<u>763222</u>	286 508

სულ	763222	286 508
-----	--------	---------

15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს ფიზიკური პირების მიერ კომპანიისთვის გაწეული მომსახურების საფასურს, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7 020 299 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კომპანიას 2024 წელს მოახდინა დივიდენდის გაცემა დამფუძნებლებზე 1 790 261 ლარის ოდენობით.

17. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

18. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „იჯარის ხარჯის“ მუხლში. აღნიშნული იჯარის ხარჯი წარმოადგენს ოფისის იჯარას, რომელიც კომპანიას აქვს ნაქირავები.

19. 2023 წლის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(31279)
შრომის ანაზღაურება	(60 535)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(58 140)
სულ	(149 954) ლარი

20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(41121)
სულ:	(41 121)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(10814)
სულ:	(10 814)

2024 წლის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024
ცვეთა და ამორტიზაცია	(27234)
შრომის ანაზღაურება	(124058)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(97650)
სულ	(248942) ლარი

2024 წლის წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება	18655
სულ:	18655
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19489
სულ:	19489
2024 წ საპროცენტო ხარჯი	(36648)

21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

აღნიშნული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო ქონსტრაქშენ“

ფინანსური დირექტორი

ვაჟა მინაშვილი

ვ. მ. მინაშვილი

